

მესამე გაკვეთილი

3.1 სემანტიკური ძირი

აქადური ზმნა ჩვეულებრივ, შედგება 3 ძირეული თანხმონისა და 1 ძირეული ზმონისაგან. შემდგომ მას ემატება აფიქსები (პრეფიქსები, სუფიქსები და ინფიქსები), ხასიათდება აგრეთვე თანხმონის გაორმაგებით.

პირობითად, ძირეულ თანხმონებს ვუნოდებთ R_1 , R_2 , და R_3 -ს. მაგ: kašārum “შეკვრა” = $R_1+a+R_2+\bar{a}+R_3+um$. თანხმონის გამორმაგებით, ზმონების მონაცვლეობითა და აფიქსების დამატებით იცვლება სიტყვის მნიშვნელობა:

kašārum	“შეკვრა”	$R_1+a+R_2+\bar{a} R_3+um$
kušur	„შეკარი!“	$R_1+u+R_2+u+R_3$
kuššurum	„კარგად შეკრული“	$R_1+u+R_2+R_2+u+R_3+um$
makšarum	„შეკრული“	$ma+R_1+R_2+a+R_3+um$

ვინაიდან $R_1-R_2-R_3$ –ს წერა ცოტა დამაბნეველია, ასირიოლოგებმა შეიმუშავეს ერთი ზმნის ფორმულა, რომლის დასწავლის შემდეგაც, ნებისმიერი სხვა ზმნის წარმოება უკვე მარტივი ხდება. ეს ზმნაა parāsum „გაჭრა, გაყოფა“, რომლის თანხმონებია, შესაბამისად p-r-s, ანუ $p = R_1$, $r = R_2$, $s = R_3$.

აქადურ ენაში გამონაკლისის სახით გვხვდება აგრეთვე ორ, ოთხ და ხუთ თანხმონიანი ძირები. ამ შემთხვევაში, მათთვის შემდეგი ფორმულა შედგება: ორთანხმონიანი ძირისათვის – $R_1 - R_2$, ოთხთანხმონიანისთვის – $R_1-R_2-R_3-R_4$ ან $R_1-R_2-R_1-R_2$. ხუთთანხმონიანი ძირები ძალზე იშვიათია.

• ზმნის უღლება

აქადურში, ისევე, როგორც არაბულსა და ებრაულში, ზმნები გარკვეული “ფუძეების” მიხედვით იუღლვის.

აქადურში ზმნის 4 ძირითადი “ფუძეა”, რომლების სახელწოდებებიც გერმანულიდან დამკვიდრდა:

G = Grundstamm

D = Doppelstamm

Š = Š-Stamm

N = N-Stamm

და 4 ძირითადი დროა:

Present – აწმყო, “აშენებს”

Preterite – წარსული, “აშენებდა”

Perfect – წარსული, “ააშენა”

Stative – სტატივი, “აშენებული იყო”

ამასთან ერთად, ყოველ “ფუძეს” აქვს ბრძანებითი (Imperative), სახელადი (Infinitive) და 2 ზმნიზედური ფორმა – პარტიციპი (Participle) და მიმღეობა (Verbal adjective).

• **G-Stamm-ის პრეტერიტუმი (წარსული დრო): ფორმა და მნიშვნელობა**

G-Stamm-ის პრეტერიტუმი შემდეგნაირად აიგება: R₁+R₂+V+R₃. V აქ ფუძისეული ხმოვანია. ზმნის ფუძეს ემატება პრეფიქსები და სუფიქსები, რომლებიც პირს, სქესს და რიცხვს გამოხატავენ. სხვა სემიტური გრამატიკების მსგავსად, ზმნური პარადიგმა მესამე პირიდან იწყება:

	<u>მხ.რ.</u>	<u>მრ.რ.</u>	
3c.	i-		3 m. i- -ū
			3 f. i- -ā
2 m.	ta-		2 c. ta- -ā
2 f.	ta- -ī		
1 c.	a-		1 c. ni-

წარმოვადგენთ შემდეგი ზმნების ულლებას: šakānum (ფუძისეული ხმოვანი u) “დადება”, šarāqum (i) “მოპარვა”, šabātum (a) “დაპყრობა, აღება”:

Sg.

3c	iškun “მან (m/f) დადო”	išriq	išbat
2m	taškun “შენ (m) დადე”	tašriq	tašbat
2f	taškunī “შენ (f) დადე”	tašriqī	tašbatī
1c	aškun “მე დავდე”	ašriq	ašbat

Pl.

3m	iškunū “მათ (m) დადეს”	išriqū	išbatū
3f	iškunā „მათ (f) დადეს”	išriqā	išbatā
2c	taškunā “თქვენ (m/f) დადეთ”	tašriqā	tašbatā
1c	niškun “ჩვენ დავდეთ”	nišriq	nišbat

პრეტერიტუმი წარსულში მომხდარ ერთჯერად ამბავს გამოხატავს. სუბიექტი გამოხატულია თვითონ ზმნაში პირის ნიშნით. დამოუკიდებელი ნაცვალსახელი ზმნასთან ერთად მხოლოდ ორ შემთხვევაში გვხვდება (და ასეთ დროს იგი წინადადების თავში დგას):

ა) *atta tašriq* “ეს შენ (m) იყავი, რომელმაც მოიპარე”.

ბ) *ānāku u atta nišbat* “მე და შენ ავიღეთ/დავიპყარით” (სუბიექტი ორი პირია).

• **G-ის პრეზენტი (ანმყო) = დურატივი**

დურატივი გადმოსცემს მოქმედებას, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხდება/ხდებოდა (უსრული ასპექტი), ან მოქმედებას, რომელიც ჯერ არ მომხდარა (ასირიოლოგები მას ანმყო/ანმყო-მომავალ დროსაც უწოდებენ):

ა) warassa ana kaspim inaddin „იგი გაყიდის თავის მონას“.

ბ) tuppāšu ikannak „იგი ბეჭდავს თავის ფირფიტას“.

გ) inaddin „იგი აძლევდა, აძლევს, მისცემს“.

ამ შემთხვევაში დრო კონტექსტიდან გამომდინარე უნდა დავადგინოთ:

šikaram išattī-ma bītum imqut „იგი სვამდა ლუდს, და სახლი დაინგრა“ ან „როდესაც იგი ლუდს სვამდა, ამ დროს სახლი დაინგრა“ ან „იგი ლუდს სვამდა, როდესაც სახლი დაინგრა“.

bītī tanaššar-ma ana nārim arakkab „სანამ შენ იცავ ჩემს სახლს, მე მდინარისკენ გავაჭენებ“.

დ) inaddin „იგი აძლევდა ხოლმე, ის აძლევს ხოლმე, ის მისცემს ხოლმე“.

ე) inaddin „მას შეუძლია/უნდა მისცეს“.

დურატივი, პრეტერიტის მსგავსად, უარყოფით ფორმას ul(a)-თი აქარმოებს:

bītam eššam ul nibanni „ჩვენ ახალ სახლს არ ავაშენებთ“.

ilam ina šamnim ula tapaššašā „თქვენ არ წაუსმევთ ღვთაებას ზეთს“.

	<u>šakānum</u>	<u>šabātum</u>	<u>šarāqum</u>	<u>maqātum</u>
3cs	išakkan	išabbat	išarriq	imaqqut
2ms	tašakkan	tašabbat	tašarriq	tamaqqut
2fs	tašakkanī	tašabbatī	tašarriqī	tamaqqutī
1cs	ašakkan	ašabbat	ašarriq	amaqqut
3mp	išakkanū	išabbatū	išarriqū	imaqqut
3fp	išakkanā	išabbatā	išarriqā	imaqqutā
2cp	tašakkanā	tašabbatā	tašarriqā	tamaqqutā
1cp	nišakkan	nišabbat	nišarriq	nimaqqut

პირის, სქესისა და რიცხვის პრეფიქსები და სუფიქსები იგივეა, რაც G პრეტერიტისა.

G-ის დურატივის ფუძე შემდეგი იქნება: R₁ a R₂ R₂ V R₃ (ParrVs). მეორე თანხმოვანი ყოველთვის გაორმაგებულია (იმის მიუხედავად, ლურსმულ ტექსტში იგი შეიძლება არ იყოს გადმოცემული). გამონაკლისია მხოლოდ II-სუსტი ზმნები (ამის შესახებ ქვემოთ). სამთანხმოვნიან ზმნებში პირველ და მეორე თანხმოვნებს შორის ხმოვანი ყოველთვის a არის (III-e ზმნებში – e). მეორე და მესამე თანხმოვნებს შორის დგას ფუძისეული ხმოვანი. იგი იგივეა, რას პრეტერიტში, გამონაკლისია მხოლოდ ის ზმნები, რომლებსაც პრეტერიტში u თანხმოვანი აქვთ, დურატივში u-ს ნაცვლად შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე a ხმოვანი, ამიტომ იგი ყველა ზმნისთვის ცალკე დასამახსოვრებელია:

პრეტერიტი	დურატივი	სამთანხმოვნიანი ზმნები
i > i	i	idammīq, idannin, iḥalliḳ, ilabbir, ipaqqid, iqattin, irappiṣ, iṣallim
a > a	a	imahḥaṣ, imarraṣ, irakkab, iṣabbat
	a	igammar, ikannak, ikaṣṣar, ikaṣṣad,
u > u	u	imahḥar, iparras, ipaṣṣaṣ, iṣakkan
	u	uballuṭ, imaqqut, ipahḥur

• **G-ის იმპერატივი (ბრძანებითი ფორმა)**

იმპერატივი, ანუ ბრძანებითი კილო გამოიყენება ბრძანები გამოსახატავად. იგი მხოლოდ მეორე პირში გვხვდება. მისი ფორმა ძირითადად არის ზმნის პრეტერიტის ფორმა, რომელსაც არ გააჩნია წინსართი. იმპერატივის ხმოვანი ყოველთვის იგივე იქნება, რაც აქვს პრეტერიტის ფორმას. მეორე პირის დაბოლოვებანი – მხ. რ. მდედრ. სქ. -ī და მრ. რ. -ā რჩება იმპერატივში.

სამთანხმოვნიანი ზმნები

პრეტერიტის ფორმას რომ მოვაცილოთ წინსართი, ზმნა დაიწყება ორი თანხმოვნით. ასეთ ვითარებას აქადური ენა ვერ ჰგუობს, ამიტომ ამ პირველ და მეორე თანხმოვანს შორის ჩნდება ხმოვანი. იმ გამონაკლისი ძირების გარდა, რომლებიც ქვემოთ იქნება ჩამოთვლილი, ყველა ზმნის ეს ხმოვანი დაემთხვევა პრეტერიტის ფორმის ზმნის ძირეულ ხმოვანს. ხმოვნის კვეცის წესის მიხედვით (§ 4.1), როდესაც ზმნას ემატება მდედრ. მხ. რ. დაბოლოვება -ī და მრ. რ. დაბოლოვება -ā, აგრეთვე ვენტის დაბოლოვება -am, მაშინ მეორე და მესამე ძირეულ თანხმოვნებს შორის ამოვარდება ხმოვანი:

	ṣakānum (a-u)	paqādum (i)	ṣabātum (a)
ms	ṣukun (ṣuknam)	piqid (piqdam)	ṣabat (ṣabtam)
fs	ṣuknī (ṣuknīm)	piqdī (piqdīm)	ṣabtī (ṣabtīm)
cp	ṣuknā (ṣuknānim)	piqdā (piqdānim)	ṣabtā (ṣabtānim)

როგორც ვატყობთ, მდედრ. მხ. რ. და მრ. რ.-ის ფორმები ვენტივის დაბოლოვების დამატებისას არ იცვლება.

გამონაკლისი, როდესაც პირველ და მეორე თანხმოვანს შორის მდგარი ხმოვანი განსხვავდება ძირეული ხმოვნისაგან, არის 5 a-კლასის ზმნა. მათი ხმოვანი (პირველ და მეორე თანხმოვნებს შორის მდგარი) იქნება i. ესენია:

- lamādum “სწავლა”
- palāḥum “თაყვანისცემა, შიში”
- pašāḥum “გაგრილება”
- rakābum “ჭენება”
- takālum “რწმენა, ნდობა”

• **G-ის ინფინიტივი: ფორმა და მნიშვნელობა**

ინფინიტივი (საწყისი) უღვლილებადი სახელია. G-Stamm-ში მას შემდეგი ფორმულა შეესაბამება: **parās**: მაგ.: šakānum „დადება“; mahārum „მიღება“; šarāqum „მოპარვა“.

უმეტესად, ინფინიტივს წინ უძღვის წინდებული (ბუნებრივია, ამის გამო, ინფინიტივი გენიტივის ბრუნვაში იქნება):

- wardum ina šarāqim ša ḥurāṣim imqut „მონა ოქროს პარვისას დაიჭირეს (ჩავარდა)“.
- šarrum ana ālim ana šakānim ša ilim ikšud „მეფე ქალაქში ღვთაების დასადგამად მივიდა“

თანამედროვე აქადურ ლექსიკონებში ზმნები წარმოდგენილია ინფინიტივის ფორმით, როგორც ეს თვითონ ძველ აქადურ ლექსიკონებში იყო.

• **პარტიციპი (აქტიური)**

G –ში პარტიციპს აქვს შემდეგი ფორმულა: **pārisum**. მას ენიჭება ზედსართავის მნიშვნელობა და იბრუნვის ჩვეულებრივი ზედსართავივით:

	Sg.		Pl.	
	m.	f.	m.	f.
nom.	pārisum	pāristum	pārisūtum	pārisātum
gen.	pārisim	pāristim		
			pārisūtim	pārisātim
akk.	pārisam	pāristam		

მას მოსდევს არს. სახელი გენიტივში და ერთად ენიჭებათ სახელის ფუნქცია, მაგ. pāliḥ ilim – „ღვთისმოშიში (კაცი)“, šābitum „დამპყრობელი“ (აქტიური, დაუსრულებელი ფორმაა განსხვავებით მიმღეობისა, რომელიც დასრულებულ მდგომარეობას აღნიშნავს: šabit- „დაპყრობილი“)

- მიმღობა (პასიური)

აქადური ზედსართავის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის მიმღობებს, ანუ ისინი ნაწარმოებია ზმნებისაგან. მას აქვს შემდეგი ფორმულა **parVs**, სადაც ხმოვანი უმეტესწილად **i** არის, იშვიათად **a** ან **u**. მაგ. *ṣabit-* „დაპყრობილი“, *damiq-* „კარგი“, *rapaš-* „ფართე“, *zapur-* „ბოროტი“.

	m.	f.
Sg. nom.	damqum	damiqtum
gen.	damqim	damiqtim
acc.	damqam	damiqtam
Pl. nom.	damqūtum	damqātum
gen.-acc.	damqūtīm	damqātīm

- ნომინალური (სახელადი) წინადადება

ნომინალურს უწოდებენ ისეთ წინადადებას, რომელსაც არ აქვს ზმნა. ასეთ წინადადებაებს ახასიათებთ დამოუკიდებელი ნაცვალსახელის გამოყენება და ასევე ენკლიტიკური ნაწილაკი *-ma* –ს დამატება.

Adad šarrum-ma - ადადი მეფეა
ul abī atta – შენ არ ხარ ჩემი მამა

აქადურ ენაში არ მოგვეპოვება ზმნა “ყოფნა”. წინადადებაში იგი მხოლოდ იგულისხმება.

ასეთ წინადადებაში სუბიექტი თუ არსებითი სახელია. იგი წინადადების დასაწყისში დგას; თუ სუბიექტი ნაცვალსახელია, იგი წინადადების ბოლოში დგას. ასეთ წინადადებაებში დრო შეძლება მხოლოდ კონტექსტიდან გამოვიცნოთ:

Ḫammurapi šarrum ša Bābilim “ხამურაბი (არის/იყო) ბაბილონის მეფე”;
amātum ina ālim “ქალი მსახურები (არიან/იყვნენ) ქალაქში”;
ina ālim nīnu “ჩვენ (ვართ/ვიყავით/ვიქნებით) ქალაქში”.

mārtum ša šarrim atti “შენ (ხარ) მეფის ქალიშვილი”;
ina libbim ša ālim nārum “ქალაქის შუაგულში (არის) მდინარე”

bītum ša iltim “სახლი (არის/ეკუთვნის) ქალღვთაები/ას”.
kaspum u ḫurāšum ša ālim “ვერცხლი და ოქრო (არის/ეკუთვნის) ქალაქ(ი)ს”.
wardū ša bēlim “მონები (არიან/ეკუთვნიან) ბატონ(ი)ს”;
ša ilim šū “ეს (არის/ეკუთვნის) ღვთაები/ას”.

- **ვერბალური (ზმნური) წინადადება და მისი წყობა**

ჩვეულებრივი წყობა ზმნურ წინადადებაში ასეთია:

სუბიექტი – პირდაპირი ობიექტი – გარემოება (ზმნიზედა/წინდებულიანი სიტყვა/ირიბი ობიექტი) – ზმნა.

ხანდახან, ამ წყობამ შეიძლება გადაინაცვლოს (პირდაპირი ობიექტი შეიძლება გადავიდეს სუბიექტის წინ), მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ **ზმნა** ყოველთვის წინადადების ბოლოში დგას. რადგან ტექსტებში არ მოგვეპოვება პუნქტუაცია, ზმნის მიხედვით ადვილი გასარკვევია, თუ სად მთავრდება იგი:

amtum kaspam iṣbat ina bītim iškun „მონა ქალმა ვერცხლი აიღო; მან (იგი) სახლში დადო“

hurāṣam ša šarrim tašriqā “თქვენ მოიპარეთ მეფის ოქრო”

bēlum abam ša šarratim ina ālim iṣbat “ბატონმა დედოფლის მამა ქალაქში შეიპყრო”

ზმნა სუბიექტს უნდ შეუთანხმდეს პირში, სქესში და რიცხვში:

ilātum hurāṣam ša šarrim iṣbatā „ქალღვთაებებმა ხელთ იგდეს მეფის ოქრო“

wardū šīpātīm ina bītim iškunū „მონებმა მატყლი სახლში დადეს“

ორობით რიცხვში მდგარი სიტყვები ზმნას შეითანხმებენ მდებარ. მრ. რიცხვში, მაშინაც კი, თუ ეს სიტყვები მხ. რიცხვში მამრ. სქესის არიან:

šarrān iškunā (ძალიან იშვიათად šarrān iškunū) „ორმა მეფემ დადო“

šarratān iškunā „ორმა დედოფალმა დადო“

თუ სუბიექტი რამდენიმე პირია, ზმნას მრ. რიცხვში შეითანხმებენ; თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც მამრ. სქესისაა, ზმნა მამრ. მრ. რიცხვში იდგება:

mārum u mārtum imqutū „ვაჟი და ქალიშვილი დაეცნენ“

amtum wardum u mārātum imqutū „მონა ქალი, მონა და ქალიშვილი დაეცნენ“

aššatum mārātum imqutā „ცოლი და ქალიშვილები დაეცნენ“

კრებითმა სახელებმა ზმნა შეიძლება როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში შეითანხმონ:

šābum ālam iṣbat/iṣbatū „ლაშქარმა ქალაქი დაიპყრო/აიღო“.

Vocabulary

- alākum* (pres. *illak*, pret. *illik*; further forms will be seen in §68): to go
dajjānum: judge
iṣum: tree, wood
kaspum: silver
kašādum (a/u): to reach, arrive at, conquer
maḥāṣum (a): to beat, strike
mû (plur. <*mā'û): water
nadānum (pres. *inaddin*, pret. *iddin* < **indin*: §83e): to give; (*ana kaspim*) *nadānum*: to sell
nakāsūm (pres. *inakkis*, pret. *ikkis*: §83e): to cut down, cut off
namkūrum: possession (**mkr*, cf. §83c)
naṣārūm (pres. *inaṣṣar*, pret. *iṣṣur*: §83e): to guard, keep
nīšum: oath (lit. life); usually in *nīš ilim*: (oath) by the life of a god, *nīš šarrim* and the like
nuḥṣum: abundance
palāḥum (a): to fear, reverence
paqādum (i): to care for (acc.), to entrust (acc.) to (*ana/dat.*)
parāsum (a/u): to cut, divide
pašātum (i): to erase, efface
pūm: mouth (construct state: *pī*)
**purussā'um*, *purussūm*: decision;
purussām parāsum: to make a decision
ragānum (u): to claim, raise a legal claim
riṭtum (f., **rḥt*): wrist, hand
ṣabātum (a): to seize
šakānum (a/u): to put, place, set
šaḡālum (a/u): to weigh (out), pay
šarākum (a/u): to present, give
šarāqum (i): to steal
šebērum (i, pres. *išebbir*, *tešebbir*, *ešebbir*; pret. *išbir*, *tešbir*, *ešbir*; v. adj. *šebrium*; cf. §84g): to break
šumma (conj.): if
zakārum (a/u): to speak, say, name
maḥar (constr. of *maḥrum*, see lesson 1): in front of, before

Cuneiform Signs

Signs	Phonetic	Logographic
	<i>ba</i>	
	<i>zu, sú, ši</i>	ZU = <i>idûm</i> 'to know' ZU = <i>lamādum</i> 'to learn'
	<i>ig, eg</i>	GĀL = <i>bašûm</i> 'to be'
	<i>am</i>	
	<i>iz, ez, (giš, giz)</i>	GIŠ = <i>išum</i> 'tree, wood'
	<i>šu, (qad)</i>	ŠU = <i>qātum</i> 'hand'
	<i>ud, u₄, tam, pir, (par, lah, lih, hiš, tú)</i>	U ₄ = <i>ûnum</i> 'day' ^d UTU = ^d <i>Šamaš</i> (sun-god) BABBAR = <i>pešûm</i> 'white' ^d IŠKUR = ^d <i>Adad</i> (storm-god)
	<i>im, em</i>	IM = <i>tiṭṭum</i> 'clay' IM = <i>šārum</i> 'wind'
		KÛ = <i>ellum</i> 'pure, holy'
		KÛ.BABBAR = <i>kaspum</i> 'silver'
		GUŠKIN (written KÛ.GI) = <i>hurāšum</i> 'gold'
	<i>za, ša, sà</i>	

Exercise

1. Normalize and translate: *iš-ru-uk. im-ḥa-aš. ik-šu-ud. ip-ši-iṭ. mi-ša-ra-am i-na pī ma-tim aš-ku-un. šum-ma da-a-a-nu-um pu-ru-sà-am ip-ru-ús. a-wi-lum namkūr ilim iš-ri-iq. bīt(bīs)-sú iš-ba-at. i-ša-ak-ka-nu. i-na-ša-ar. i-pa-aq-qi-du. ni-iš i-lim i-za-kar.*

*i-ra-ag-gu-um. i-še-eb-bi-ru. i-ša-am i-na-ak-ki-su. rit-ta-šu i-na-ki-su.
kaspam i-ša-qá-lu. bīt-sú a-na kaspim i-na-ad-di-in. pa-li-iḫ i-lí.
ša-ki-in me-e nu-úḫ-šim a-na ni-ši-šu. pa-qi-id bi-tim. i-na a-la-ki-šu.
a-na ka-ša-dim. bi-tum na-ad-nu-um.*

2. Conjugate in pret., pres. and imp. and give ptc. and verbal adj.: *kašādum, šarāqum, šebērum.*

4. Translate into Akkadian: you raised a claim. he reverences the gods. he struck the man. my lord broke his tablet. I entrust my father to the gods. he placed his gift before the god. he is weighing out silver in his father's house. he effaced my words. when you arrive. in order to guard his house. the seized man.

5. Cuneiform:

𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵; 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵;
𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵; 𐎶𐎵 𐎶𐎵;
𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵; 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵;
𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵; 𐎶𐎵 𐎶𐎵 𐎶𐎵